



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მახარობლიძე რევაზ მეთოდის ძე

მახარობლიძე რევაზ მეთოდის ძე (დ. 22. VII. 1936, სოფ. ლაჯანა, ახლანდ. ცაგერის მუნიციპალიტეტი), ინჟინერ-მექანიკოსი. საქართვ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი (1992), ტექ. მეცნ. დოქტორი (1981), პროფესორი (1982), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი მეცნ. და ტექნ. დარგში (1994). დაამთავრა საქართვ. სუბტროპ. მეურნეობის ინ-ტი (1959) და მუშაობა დაიწყო იქვე. შემდეგ მოღვაწეობა განაგრძო მინსკში არაშავმიწანიადაგიანი ზონის მექანიზაციისა და ელექტრონიკის ცენტრ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (1961-67). იყო საქართვ. სუბტროპ. მეურნეობის ინ-ტის კათედრის (1967-74), სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპ. კულტურების სამეცნ.-კვლ. საკონსტრუქტორო ტექნოლ. ინ-ტის განყ-ბის (1974-76), საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის (ამჟამად საქართვ. აგრარული უნ-ტი) მანქანების ექსპლუატაციის კათედრის (1982-2006), კ. ამირაჟიბის სახ. სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის განყ-ბის (1976-82) გამგე, ამავე ინ-ტის დირექტორი (1999-2006).

მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, ნაშრომთა ციკლისა - „ტექნიკური სამეცნიერო გამოკვლევები სასოფლო-სამეურნეო მანქანების პარამეტრების ოპტიმიზაციის შესახებ“ (სახელმწ. პრემია), მიღებული აქვს სახელმწ. ჭილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1999).